ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1/221-2013

ქ. თბილისი

25 სექტემბერი 2013წ.

ერთი მხრივ,
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (იურიდიული მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში აეროპორტის დასახლება (აეროპორტი); ს.კ №404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის პაატა ჩიქოვანის სახით (შემდგომში "შემსყიდველი")
და მეორე მხრივ,
შპს „ელექტრონი" (მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი გარდაბნის გზატკ. 48 ს.კ. 208218132) წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ ხადურის სახით შემდგომში „მიმწოდებელი"
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" საჭიროებისათვის სხვადასხვა სახის ხელსაწყოების (დანართი №1) შესყიდვა.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი
2.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1208 (ერთი ათას ორასრვა) ლარს.
2.2. საქონლის ჩამონათვალი, რაოდენობა, CPV კოდები და ერთეულის ფასი მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3.ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

მუხლი 3. ხელშეკრულების განხორციელების ვადები
3.1. საქონელი მიწოდებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
3.2 ,,მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ,,მიმწოდებელს".

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას და სასაქონლო ზედნადებს, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები
5.1.„მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების" აქტი, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები.
5.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მე-5 მუხლის 5.2. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.
5.4. „მიღება–ჩაბარების" აქტის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები
6.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
6.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" ხარისხიანი საქონელი;
6.1.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.3.დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.2.2. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6 .2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 7. მხარეთა უფლებები
7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.
7.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
7.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
7.2.2 არ მიიღოს უხარისხო საქონელი.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი
9.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეულია ისეთი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით(ფორსმაჟორული გარემოება), რომლის წინაწარ გათვალისწინება ანდა გონივრული მეთოდებით გადალახვა შეუძლებელია. ასეთი გარემოებებია (და არამხოლოდ) მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, წყალდიდობა, ეპიდემია, სამხედრო მოქმედებები, მესამე პირების გაფიცვები, სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების არარსებობა, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და მისთანანი.
9.2. ფორსმაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების მიერ ოფიციალურად.
9.3. მხარე ვალდებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება ერთმევა, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს ფორსმაჟორზე მითითებით.
9.4. თუ ფორსმაჟორული გარემოება გრძელდება იმდენ ხანს, მაგრამ უწყვეტად არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, რომ მისი მიზეზით ვერშესრულებადი ვალდებულების შეუსრულებლობა მხარის მიერ, მეორე მხარისათვის ინტერესს უკარგავს ამ ხელშეკრულების კვლავ არსებობას, ამ მეორე მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.
9.5. მხარეებს ასევე შეუძლიათ, ფორსმაჟორის დადგომის შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის გარეშეც ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ, შეაჩერონ ან შეცვალონ ეს ხელშეკრულება.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1.ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლ 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

12.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

12.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

12.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 13. ინსპექტირების პირობები

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტების ლოჯისტიკის მენეჯერი გოჩა გაგუა.

13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

13.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

მუხლი 14. გარანტია

14.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

14.2. "შემსყიდველი" უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

14.3. მიწოდებული ელექტრო საქონლის გარანტიის მოქმედების ვადა არის 1 (ერთი) წელი, მხარეთა შორის "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან.

მუხლი 15. მხარეთა პასუხისმგებლობა

15.1. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ასევე მომსახურების გაწევის დროს გამოწვეული ზიანი.

მუხლი 16. გამოყენებული სამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 17. დავა

17.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

18.3. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

18.4. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.5. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" ერთი ეგზემპლარი -შემსყიდველთან.

19. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი" **შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"** **მისამართი:** თბილისი, სამგორის რაიონში აეროპორტის დასახლება (აეროპორტი) **ს.კ** N 404 389 693 **ტელ.:** +995 32 48 73 00 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკი", **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ა/ა:** GE37TB7777736070100001 / GEL ---------- პაატა ჩიქოვანი დირექტორის მოადგილე	„მიმწოდებელი" **შპს „ელექტრონი"** **მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი გარდაბნის გზატკ. 48 **ს.კ.** 208218132 **ტ:** +995595 39 23 14 **საბანკო რეკვიზიტები:** სს პროკრედიტ ბანკი **ბანკის კოდი:** MIBGGE22 **ა/ა** GE22PC0133600100037372 ---------- ჯემალ ხადური დირექტორი

დანართი 1

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	CPV
1	პერფორატორი	1	492,00	492,00	43124000
2	ფიგ. სახრახნისების ნაკრები	2	79,00	158,00	44512800
3	მილის დამჭერი ქანჩი დიდი	1	26,00	26,00	44531600
4	მილის დამჭერი ქანჩი პატარა	1	18,00	18,00	44531600
5	რკ. ხერხი ნაჟოვკა	1	44,00	44,00	44511500
6	ქვის დისკი	20	1,50	30,00	44511510
7	რკ. დისკი	20	3,00	60,00	44511510
8	ბარგალკა	1	123,00	123,00	43812000
9	პერფორატორის დარტყმითი პიკი წვეტიანი	1	28,00	28,00	43130000
10	პერფორატორის დარტყმითი პიკი ბრტყელი	1	25,00	25,00	43130000
11	კაბელის საჩილავი	1	38,00	38,00	44512000
12	ბურღების პირი	2	23,00	46,00	43130000
13	ქანჩის გასაღები	1	55,00	55,00	44531600
14	შედუღების ჩხირები 3,2-იანი	1	23,00	23,00	42662000
15	შედუღების ჩხირები 4,2-იანი	1	42,00	42,00	42662000
			სულ ჯამი: 1208,00 ლარი		